საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

MIA 4 18 0001/235

29/05/2018

საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებისა და საჩივრის ფორმის დამტკიცების თაობაზე

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №280 დადგენილების 35-ე, 38-ე მუხლებისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული რედაქციით:
ა) საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ფორმა (დანართი №1);
ბ) საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წარსადგენი საჩივრის ფორმა (დანართი №2).
2. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ამ ბრძანების დეპარტამენტის მოსამსახურეთათვის გაცნობა.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge) გამოქვეყნება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი
გახარია გიორგი

დანართი №1
Annex №1

საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ

გადაწყვეტილება/Decision on terminating Georgian visa

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №280 დადგენილების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა, რომ არსებობს საქართველოს ვიზის მფლობელი უცხოელისათვის ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის საფუძველი და მიიღო გადაწყვეტილება შემდეგი პიროვნებისათვის საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ.

On the basis of Law of Georgia on “The Legal Status of Aliens and Stateless Persons” and Resolution №280 of the Government of Georgia of June 23, 2015 on “Approval of the Procedures for Issuing, Extending and Terminating Georgian Visas” the Ministry of Internal Affairs of Georgia established that there are grounds for terminating Georgian visas issued to foreigners and made a decision on terminating Georgian visa to the following individuals.

სახელი, გვარი (ლათინური ტრანსლიტერაციით)/ First name, Last name (in latin transliteration) _____

პასპორტის ან მისი შემცვლელი დოკუმენტის №/ Number of Passport or passport substitute _____

მისამართი/Address_____

საქართველოს ვიზის №/ Georgian visa №_____

საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტა განხორციელდა შემდეგი საფუძვლ(ებ)ით:

Termination of Georgian visa was effected on the following grounds:

☐ აღარ არსებობს ან არ შესრულდა ის მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა საქართველოს ვიზა; The purpose for which the visa was issued no longer exists or has not been achieved;	☐ საქართველოს ვიზის მფლობელი უცხოელი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას; The person holding the visa carries out an activity that endangers the national security of Georgia;
☐ გამოვლინდა საქართველოს ვიზის მისაღებად ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტების წარდგენის ფაქტი; It is revealed that a false or invalid document(s) has been submitted to obtain the visa;	☐ საქართველოს ვიზის მფლობელი უცხოელი გააძევეს საქართველოდან; The visa holder has been expelled from Georgia;
☐ საქართველოს ვიზის მფლობელ უცხოელზე გაიცა საქართველოს ვიზა, რომელიც მოიცავს უკვე გაცემული საქართველოს ვიზის მოქმედების ვადას; A visa issued to an alien overlaps the validity period of the already issued visa;	☐ საქართველოს ვიზის მფლობელი უცხოელის ის სამგზავრო დოკუმენტი, რომელშიც დატანილი იყო საქართველოს ვიზა, დაიკარგა ან გახდა გამოყენებისთვის უვარგისი (გაცვეთა, დაზიანება და ა.შ.); The travel document where the visa was affixed has been lost or become unfit for use (wear, damage, etc.);
☐ D5 კატეგორიის ვიზის მფლობელ უცხოელს ან/და მისი ოჯახის წევრს შეუწყდა საკუთრების უფლება იმ უძრავ ქონებაზე, რომლის საფუძველზეც მან მოიპოვა D5 კატეგორიის ვიზა. D5 category visas holders' right on ownership on real estate has been terminated on which ground D5 category of visa has been obtained.	

აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა ეცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.
Within 24 hours after the decision was taken it shall be notified to the Ministry of Justice of Georgia and the Ministry of Foreign Affairs of Georgia

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გაცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, გენერალ გ.გულუას ქ.№10).

The decision may be appealed at the Ministry of Internal Affairs of Georgia (Address: №10, General G. Gulua str., Tbilisi) within 10 working days after the relevant decision is made by the person authorized to file a complaint.

საჩივარი განიხილება მისი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარდგენიდან 1(ერთი) თვის ვადაში, რომელიც სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 (ორი) თვის ვადით.
The complaint shall be reviewed within 1 (one) month following the submission of the application to the Ministry of Internal Affairs of Georgia, which may be extended by no more than 2 (two) months.

უფლებამოსილი თანამდებობის პირის სახელი, გვარი, თანამდებობა
First name, last name, position of an authorized official
_____

თანამდებობის პირის ხელმოწერა:/Signature by an official: _____

თარიღი:/Date:
დამღა:/Stamp:

დანართი №2

Annex №2

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წარსადგენი საჩივრის ფორმა
Form of Complaint to be submitted to the Ministry of Internal Affairs of Georgia

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

To: Ministry of Internal Affairs of Georgia

_____

_____

საჩივრის ავტორი:/Complainant:

სახელი:/First name: _____

გვარი:/Last name: _____

მის.:/Address: _____

ტელ.:/Tel: _____

ელ.ფოსტა:/E-mail: _____

წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში)/Representative (if any):

სახელი:/First name: _____

გვარი:/Last name: _____

მის.:/Address: _____

ტელ.:/Tel: _____

ელ.ფოსტა:/E-mail: _____

ს ა ჩ ი ვ ა რ ი/Complaint

საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება:

Name of the agency authorized for terminating Georgian visa:

_____

_____

_____

_____

_____

მოთხოვნა და მისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:/Request and its factual and legal grounds:

_____

_____

_____

_____

_____

_____

თანდართული საბუთების ნუსხა:/List of the documents annexed:

საჩივრის ავტორის/წარმომადგენლის ხელმოწერა:/Signature of a complainant/representative:

_____

თარიღი:/Date: „_____“ „_____“ „_____“ (რიცხვი, თვე, წელი/Day/month/year)